პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 136 (5166)

1974 წ. 11 ივლისი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოფიციალური ცნობები

### შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

9 ივლისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე შეხვდა აზერბაიჯანელ მწერალთა ჯგუფს.

ამხ. ე. შევარდნაძე სტუმრებს ესაუბრა საქართველოს მწერალთა ორგანიზაციის დიდ და მნიშვნელოვან საქმეებზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს აზერბაიჯანისა და საქართველოს მწერალთა შეხვედრას, რომელიც ჩვენი ხალხების მეგობრობის მკაფიო გამოვლინებაა.

შეხვედრას დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე.

* * *

მანამდე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თაოსნობით სახელმწიფო ფილარმონიის მცირე საკონცერტო დარბაზში მოეწყო ლიტერატურულ-მხატვრული საღამო, რომელიც საქართველოს და აზერბაიჯანის კულტურის წარმომადგენელთა ძმობისა და შემოქმედებითი მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად იქცა.

საღამო გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. მესხიშვილმა.

საღამოზე გამოვიდნენ აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის მდივანი ი. კასუმოვი, აზერბაიჯანელი და ქართველი პოეტები.

## „სალუტ–3“: ფრენა გრძელდება

ფრენის მართვის ცენტრი, 9 ივლისი. (საკდესი). „სალუტ-3“ პილოტირებული სამეცნიერო სადგურის ფრენის განვლილი დღე-ღამის მანძილზე კოსმონავტებმა პაველ პოპოვიჩმა და იური არტიუხინმა მოაწყეს მთელი რიგი ტექნიკური ექსპერიმენტები კოსმოსური ლაბორატორიის გაუმჯობესებული საბორტო სისტემებისა და აპარატურის დახვეწისა და გამოცდისთვის. კერძოდ, იმუშავეს გარე წრიული მიმოხილვის ოპტიკური ხელსაწყოთი. ეს ხელსაწყო საშუალებას იძლევა ვიზუალურად დააკვირდნენ სადგურის კონსტრუქციების ელემენტების მდგომარეობას; აგრეთვე მიღებული გამოსახულებანი სატელევიზიო მოწყობილობის საშუალებით გადმოსცენ დედამიწაზე.

მოსკოვის დროით 13 საათისთვის „სალუტ-3“ პილოტირებულმა სამეცნიერო სადგურმა ეკიპაჟითურთ 73-ჯერ შემოუარა დედამიწას.

## მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

## ასპარეზობენ მოცურავეები

გრძელდება მოსწავლეთა XIII საკავშირო სპარტაკიადა. ხარკოვისა და ერევნის აუზებში ტარდება მოცურავეთა შეჯიბრებები. პირველმა სტარტებმა ცხადყო, რომ პროგრამის ზოგიერთ სახეობაში სპარტაკიადის ჩემპიონები საკმაოდ დაოსტატებული არიან.

ხარკოვის „დინამოს“ აუზში გოგონები ასპარეზობენ. სხვა ნორჩ მოცურავეებთან ერთად სარბიელზე გამოდიან სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონები უფროსთა შორის — ნ. პოპოვა, თ. შელოფასტოვა, ნ. სტავკო, მ. იურჩენია.

როგორც პირველმა სტარტებმა გვიჩვენა, დანარჩენები ჩემპიონებს უბრძოლველად არ ნებდებიან. მაგალითად, ლენინგრადელ თ. შელოფასტოვას 100-მეტრიან დისტანციაზე თავისუფალი სტილით შეჯიბრების ფინალში დიდი ენერგია დასჭირდა რუსეთის ფედერაციის გუნდის წარმომადგენლის ლ. სიომკინას შეუპოვარი იერიშის გასამკლავებლად. შელოფასტოვა სპარტაკიადის ლაურეატი გახდა — 1.01,0. სიომკინა მას 0,4 წამით ჩამორჩა.

საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონმა ნ. პოპოვამ 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში დისტანციის მეორე ნახევარზე გაუსწრო მ. ბუტვილასს (რსფსრ) და 1.06,1 აჩვენა.

ერევანში ჭაბუკთა შეჯიბრება მოეწყო. თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვაში გაიმარჯვა ა. ბოგდანოვმა (რსფსრ) — 55,2; ბრასით ამავე დისტანციაზე შეჯიბრებაში — ა. იუოზაიტისმა (ლიტვა) — 1.09,0; ბატერფლაით ასევე 100 მეტრზე — ა. გრიბანოვმა (ლენინგრადი) — 1.00,0.

● ზოლინგენი, 9 ივლისი. გფრ-ის ამ ქალაქში დაიწყო მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 8 ქვეყნის 15 წარმომადგენელი ასპარეზობს. პირველ ტურში მსოფლიოს ექსჩემპიონი ბ. სპასკი და ლ. პოლუგაევსკი ყაიმზე შეუთანხმდნენ, შესაბამისად, უნგრელ ლ. საბოსა და გდრ-ის წარმომადგენელ ვ. ულმანს.



მოსკოვში, ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე, დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი მძლეოსნურ მრავალჭიდში. როგორც ცნობილია, ქალთა შორის გაიმარჯვა ნ. ტკაჩენკომ — 4822 ქულა. ვაჟთა შორის ათჭიდში ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა ლენინგრადელმა რ. ზიგერტმა — 7903 ქულა.

* * *

სურათზე: რ. ზიგერტი ასპარეზობისას.

ა. აბაზის ფოტო.



## ფავორიტები და დანარჩენები

სან-ხუანი, 9 ივლისი. კალათბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის დღეს გამართულმა მატჩებმა ერთგვარი სიცხადე შეიტანა სატურნირო ცხრილში. უკვე გამოიკვეთა ორი ფაქტიური ლიდერი. ესენი არიან აშშ-სა და იუგოსლავიის კალათბურთელები, რომლებსაც მარცხი ჯერ არ განუცდიათ.

ორიოდე სიტყვა ტურნირის ერთპიროვნულ ლიდერებზე — ამერიკელებზე. მას შემდეგ, რაც კალათბურთის ფუძემდებლებმა წააგეს ოლიმპიური ტურნირი, ამერიკული კალათბურთის ავტორიტეტი მსოფლიოში ძალიან შეირყა. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ დამარცხებული გუნდის სამშობლომ ოლიმპიადებს შუა პერიოდში აქცენტი უმთავრესად მსოფლიო ჩემპიონატზე გადაიტანა, რასაც სხვა დროს არ აკეთებდა.

აშშ-ს ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ჯ. ბარტოუმ დაუფარავად განაცხადა, მიუნქენში დაკარგული სახელი პუერტო-რიკოში უნდა დავიბრუნოთო. ამ მიზნის მისაღწევად ბარტოუმ თავისებურ ტაქტიკურ ხერხს მიმართა — მსოფლიო ჩემპიონატზე სრულიად უცნობი მოთამაშეები ჩამოიყვანა. მაგრამ ეს გუნდი უცნობი იყო ჩემპიონატის დაწყებამდე. დღეს კი ამერიკელთა თამაში არავითარ ხაიდუმლოებას არ შეიცავს. სწორედ ამიტომ, სპეციალისტები გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ამერიკელებს ასახელებენ.

რაშია აშშ-ს ნაკრების ძალა? ჯერ ერთი იგი ჩემპიონატის მონაწილეთა შორის ყველაზე ახალგაზრდული კოლექტივია, ეს კი ბევრს ნიშნავს. მეორეც, ამერიკელებს ყველაზე „ტანმაღალი გუნდი“ ჰყავთ (საშუალო სიმაღლე — 199 სმ), მაგრამ, ამის მიუხედავად, თამაშობენ სწრაფად და ხშირად მიმართავენ პრესინგს. სხვათა შორის, პრესინგში მუდამ მონაწილეობს ჩემპიონატის ყველაზე მაღალი კალათბურთელი კელი (215 სმ).

და მაინც, გუნდის მთავარ ღირსებად სპეციალისტებს ორი რამ მიაჩნიათ: დაცვის სტაბილური თამაში, სადაც განსაკუთრებით გამოირჩევიან ლუკასი და ბიოორდენი (თითოეულს ჯგუფური ტურნირის ყოველ მატჩში გუნდისთვის 20-25 ქულა მოჰქონდა), და უდავო უპირატესობა ფარქვეშ ბრძოლაში.

კუბელებთან თამაშში აშშ-ს ნაკრებმა წარმატებით გამოიყენა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კოზირი. შესაძლებელია ისინი ოდნავ ჩამორჩებოდნენ სისწრაფეში თავისუფლების კუნძულის კალათბურთელებს, მაგრამ ფარზე უსიტყვო გამარჯვებამ საკმარისი კომპენსაცია შეუქმნათ. ეს ბრძოლა აშშ-ს გუნდმა 13 ქულით მოიგო — 83:70 — და მტკიცედ ჩაუდგა სათავეში სატურნირო ცხრილს.

ჩემპიონატის ცენტრალური შეხვედრა კი უდავოდ ორი ფავორიტის, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონების მატჩი იყო. იუგოსლაველებმა (ეროვი, ჩოსიჩი, ელოვაცი, შოლმანი, მარკოვიჩი) დაძაბულ ბრძოლაში გამოჰგლიჯეს ხელიდან გამარჯვება საბჭოთა კალათბურთელებს, რომელთა შორისაც ჯერ კიდევ მთელი ძალით ვერ თამაშობს ს. ბელოვი. მსოფლიო ჩემპიონის უპირატესობა მხოლოდ 3 ქულით გამოიხატა (82:79), მაგრამ გამარჯვებისთვის ქულაც საკმარისია მუდამ.

ფინალურ ტურნირში პირველ წარმატებას მიაღწია ბრაზილიამ (პუერტო-რიკოსთან). „კოლიზეუმი“ ამ მატჩის დროს მოქმედ ვულკანს უფრო ჰგავდა, ვიდრე სპორტულ ასპარეზს, მაგრამ ასეთ პირობებს არანაკლებ შეჩვეულმა ბრაზილიელმა კალათბურთელებმა მაინც შეძლეს ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევა და გაიმარჯვეს — 73:68.

აქ ბევრს ლაპარაკობენ კანადელ სპორტსმენებზე. ამ ქვეყანას არა აქვს მდიდარი ტრადიცია კალათბურთში, მაგრამ მისი გუნდი წლევანდელ ტურნირში სპეციალისტებს ხიბლავს აზრიანი და სწორი თამაშით. კანადელი მწვრთნელები, როგორც ჩანს, დიდ იმედებს არც ამყარებენ ამ ჩემპიონატზე. მათი მთავარი მიზანი ოლიმპიური ტურნირია. ოლიმპიადამდე დარჩენილი 2 წელი კი გუნდს თავისუფლად ეყოფა ჩამოყალიბებისთვის, მით უმეტეს, რომ იგი სწორი გზით ვითარდება.

საბუთი? თუ გნებავთ, დღევანდელი გამარჯვება ევროპის ჩემპიონატის პრიზიორთან, ესპანეთის ნაკრებთან, თანაც, საკმარისად დამაჯერებელი ანგარიშით — 86:73.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 4 | 4 | 0 | 406—311 | 4 |
| იუგოსლავია | 3 | 3 | 0 | 267—222 | 3 |
| სსრ კავშირი | 3 | 2 | 1 | 258—213 | 2 |
| კანადა | 3 | 1 | 2 | 259—268 | 1 |
| კუბა | 3 | 1 | 2 | 233—263 | 1 |
| ბრაზილია | 3 | 1 | 2 | 193—231 | 1 |
| ესპანეთი | 4 | 1 | 3 | 317—386 | 1 |
| პუერტო-რიკო | 3 | 0 | 3 | 230—269 | 0 |

* * *

სურათზე: სსრ კავშირისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდების შეხვედრის მომენტი.

## ჩამორჩნენ...

მოსკოვში გრძელდება საკავშირო ჩემპიონატი ხუთჭიდში. ფავორიტებიდან ლიდერებში გასვლა შეეძლო ბ. ონიშჩენკოს, რომელსაც კარგი მაჩვენებლები აქვს ხუთჭიდის მესამე სახეობაში — სროლაში, მაგრამ მან საშუალო შედეგით (190 ქულა) დაამთავრა შეჯიბრება და ოქროს მედლისთვის ბრძოლას, რა თქმა უნდა, გამოეთიშა.

ამ სახეობაში გაიმარჯვა შეიარაღებული ძალების წარმომადგენელმა ა. მიშნევმა — 197 ქულა. ამდენივე ქულა დაუგროვდა ვ. დრიუკოვს. თითო ქულით ნაკლები აქვს სამ სპორტსმენს — ს. ლუკიანენკოს, ვ. სილიახინსა და ლ. ივანოვს.

სამი სახეობის შემდეგ დაწინაურდა ვ. ჟანკოვი — 2836 ქულა. II ადგილზეა ვ. სვატენკო — 2832, III — პ. გორლოვი — 2822, IV — ვ. კრავცოვი — 2814, V — ა. მიშნევი — 2808.

აქვე მიმდინარეობს იუნიორთა საკავშირო პირველობაც. ორი სახეობის შემდეგ დაწინაურდა ლატვიელი უ. პუტნინში — 2104 ქულა. II ადგილზეა ესტონელი რ. რუსმანი — 2060 ქულა, III — მოსკოველი ვ. გალავტინი — 1948.

გუნდურ ჩათვლაში ორი სახეობის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა: 1. „დაუგავა“ — 5716 ქულა, 2. „ნეფთჩი“ — 5238, 3. „დინამო“ 1 — 5096.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პროფსაბჭოში

# მშდ კომპლექსის უფრო ფართოდ დანერგვისთვის




ახლახან საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა იმსჯელა რესპუბლიკის პროფკავშირულ ორგანიზაციებში „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის დანერგვის მიზნით გაწეულ მუშაობაზე. პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ საქართველოს პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა და ნებაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოებებმა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის შემოღების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 17 იანვრის დადგენილების, აგრეთვე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილებების შესაბამისად გარკვეული მუშაობა ჩაატარეს მშდ კომპლექსის პროპაგანდისთვის, ფიზკულტურული ორგანიზაციების პრაქტიკაში ამ კომპლექსის, როგორც მუშა-მოსამსახურეთა და მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის მთავარი მეთოდის, მათი ჯანმრთელობის განმტკიცების, შრომითი და შემოქმედებითი აქტივობის ძირითადი საშუალების დანერგვისთვის. ამჟამად საქართველოს პროფკავშირულ ორგანიზაციებში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში 216 ათასზე მეტი ადამიანია ჩაბმული.

1972-73 წლებში საქართველოს ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებში მომზადდა 77.000 მშდ კომპლექსის ნიშნოსანი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 60.525 კაცისა.

სპორტულ საზოგადოებებსა და ბევრ ფიზკულტურულ კოლექტივში შეიქმნა საზოგადოებრივი კომისიები, ჩამოყალიბდა სასწავლო ჯგუფები მშდ კომპლექსის ნორმატივების მოსამზადებლად და ჩასაბარებლად, დამუშავდა კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების გეგმები და გრაფიკები, ტარდება სპარტაკიადები, ტურნირები, ტურისტული ლაშქრობები, მძლეოსნური კროსები, შეჯიბრებები მრავალჭიდში მშდ კომპლექსის მოთხოვნათა გათვალისწინებით, აიგო მთელი რიგი უმარტივესი სპორტული ნაგებობანი.

ამასთან, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების მუშაობაში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში მუშა-მოსამსახურეთა და მოსწავლე ახალგაზრდობის ჩაბმის თვალსაზრისით ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები არსებობს.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საბჭოებსა და პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს შესაბამისი დასკვნები არ გამოუტანიათ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 17 იანვრის დადგენილებიდან. ამის შედეგია, რომ ზოგიერთ საუწყებო პროფკავშირულ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არ ტარდება საკმარისი მუშაობა მშდ კომპლექსის დანერგვისთვის.

ფიზკულტურული კოლექტივებისადმი სუსტმა ხელმძღვანელობამ და უკონტროლობამ უარყოფითი გავლენა მოახდინა მშდ კომპლექსის დანერგვისთვის მუშაობაზე.

ბევრ ორგანიზაციაში დღემდე არ დაუწყიათ მზადება კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად. უნდა დავასახელოთ, მაგალითად, გარდაბნის ავტოკოლონა 26 66 (დირექტორი ტ. თაქთაქიშვილი, ადგილკომის თავმჯდომარე რ. შერვაშიძე), საგარეჯოს სამშენ მასალათა კომბინატი (დირექტორი რ. სააკოვი, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე გ. დარბაისელი), გორის ქალაქვაჭრობა (დირექტორი ლ. ტლაშაძე, ადგილკომის თავმჯდომარე ა. მამუგიშვილი), თბილისის ავტოკოლონა 26-62 (დირექტორი გ. ბაბუნაშვილი, ადგილკომის თავმჯდომარე ო. ბარამიძე), გარდაბნის მუყაორუბეროიდის ქარხანა (დირექტორი უ. თაბაგარი, თავმჯდომარე გ. კუდავა) და სხვ.

ზოგიერთი ფიზკულტურული კოლექტივი ვერ ასრულებს მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადების გეგმებს. მაგალითად, 1973 წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სპორტკლუბს (თავმჯდომარე პროფესორი ნ. აბესაძე) 260 მშდ კომპლექსის ნიშნოსანი უნდა მოემზადებინა, მაგრამ მხოლოდ 91 მოამზადა, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტკლუბმა გეგმით გათვალისწინებული 110-ის ნაცვლად მოამზადა 85 ნიშნოსანი (სპორტკლუბის თავმჯდომარე ბ. ჭაბუკიანი).

ანალოგიური მდგომარეობაა რუსთავის ქიმიურ კომბინატში (დირექტორი გ. გოგოლაძე, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ს. კვესელავა), თელავის მე-15 სამკერვალო ფაბრიკაში (დირექტორი ნ. ორთოიძე, პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. დიდებაშვილი), ქარხანა „მიკროძრავაში" (დირექტორი კ. გვარიშვილი, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ვაჩეიშვილი), თელავის სამედიცინო სასწავლებელში (დირექტორი ი. რამაზაშვილი, ადგილკომის თავმჯდომარე ქ. დემუროვი), ავჭალის მინის ქარხანაში (დირექტორი გ. სურმავა, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ტ. მიმინოშვილი) და სხვ. ამ კოლექტივებში გვხვდება თვალის ახვევის ფაქტები, მშდ კომპლექსის საზოგადოებრივი კომისიები არ მუშაობენ, მცირეა შეჯიბრებების მონაწილეთა რიცხვი, ოქმები არ ფორმდება, ადგილებზე ორგანიზებული არ არის სასწავლო მუშაობა.

ჭიანურდება ფიზკულტურის კოლექტივებისთვის ცურვასა და სროლაში მშდ კომპლექსის ნორმატივების მოსამზადებლად და ჩასაბარებლად საჭირო პირობების შექმნა, ფიზკულტურელებზე სამედიცინო კონტროლის ორგანიზაცია. ბევრი სპორტული ბაზა ან შესაკეთებელია ან არადანიშნულებისამებრაა გამოყენებული. მაგალითად, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში (დირექტორი დ. კიკნაძე, პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. გოგელიძე), მიუხედავად ზემდგომი ორგანოებისგან მრავალგზის მითითებისა, დღემდე ვერ მოხერხდა საცურაო აუზის შეკეთება, ქარხნის ტირის კეთილმოწყობა, საფეხბურთო მინდვრის მოვლა. ქარხანა „მიკროძრავის" სპორტული მოედანი 1968 წლიდან საწყობადაა გამოყენებული. წინდების ფაბრიკაში (დირექტორი ლ. ელისაშვილი, პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე თ. გურგენიძე) სპორტულ მოედანზე წარმოების ნარჩენებს ყრიან. სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში (დირექტორი ჯ. მახარაძე, პროფკომის თავმჯდომარე ლ. დეკანოსიძე) საცურაო აუზი წელიწადში რვა თვეს ცდება, რადგან წყალი არ თბება. № 8 ლვინის ქარხნის (დირექტორი ზ. კიკნაძე, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ტ. წერეთელი) სტადიონი ტარითაა სავსე. მარტივი სპორტული მოედნები და ცურვის სასწავლო ბაზები არ არის მოწყობილი საცხოვრებელ მიკრორაიონებში, ზოგიერთ ტურბაზაში, დასასვენებელ სახლსა და პიონერთა ბანაკში.

ნაკლები ყურადღება ექცევა ახალი ფიზკულტურული კომპლექსის პროპაგანდას, საუკეთესო ინსტრუქტორებისა და ფიზკულტურის კოლექტივების გამოცდილების განზოგადებას, საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადებას.

პრეზიდიუმმა იმსჯელა ყოველივე ზემოაღნიშნულზე და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით მიიღო შესაბამისი დადგენილება.

# პირველი ადგილები ღირსეულთ ხვდათ

თბილისში, ლენინის სახელობის სპორტდარბაზში, დამთავრდა პირველი ჯგუფის კალათბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. როგორც უკვე ვიუწყებოდით, უძლიერესის ტიტულისთვის ვაჟთა და ქალთა 8-8 გუნდი იბრძოდა. პირველი ადგილები მოიპოვეს: ქალთა შორის — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (სპი) გუნდმა, ვაჟებში — „დინამომ".

ჩემპიონის ბედი ქალთა შეჯიბრებაში სპი-სა და უნივერსიტეტის გუნდების ორთაბრძოლაში გადაწყდა. შეხვედრის პირველ ნახევარში ბრძოლა თანაბარი იყო. ტაიმი მოიგეს მომავალმა ინჟინრებმა ანგარიშით 36:34. შესვენების შემდეგაც ისინი იყვნენ წინ 4—8 ქულით. მე-13 წუთიდან კი გაუგებარი რამ მოხდა: უნივერსიტეტელებმა დარჩენილ 8 წუთში მხოლოდ ქულის აღება შეძლეს, მაშინ როცა მეტოქეებმა 26 ქულა დააგროვეს. საბოლოოდ გაიმარჯვა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა — 83:52. ყველაზე შედეგიანი მოთამაშე ამ მატჩში გამარჯვებული გუნდის წევრი სურგულაძე იყო. მან თავის კოლექტივს 27 ქულა შესძინა.

III ადგილისთვის ბრძოლა არ შედგა, ვინაიდან თბილისის განათლების განყოფილების კალათბურთელები ალმა-ათას გაემგზავრნენ საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობის მისაღებად. ამიტომაც „ბრინჯაოს ჯილდო" მიეკუთვნათ მათს მეტოქეებს — უცხო ენათა ინსტიტუტის კალათბურთელებს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ აფხაზეთის, აჭარის, რუსთავისა და ქუთაისის კოლექტივები.

ვაჟთა შორის ფინალამდე წაუგებლად იბრძოდნენ თბილისის გუნდები — „დინამო" და სპი. გადამწყვეტ მატჩში თავდაპირველად სტუდენტები დაწინაურდნენ. ამ მომენტში განსაკუთრებით აქტიური იყვნენ ჭეიშვილი და ჯუღელი. მაგრამ სულ მალე წონასწორობა აღდგა, მერე კი „დინამო" დაწინაურდა კიდეც, როცა ტაიმი მოიგო ანგარიშით 41:32. დაახლოებით ანალოგიური სურათი იყო მეორე ნახევრის დასაწყისში. საბოლოოდ კი დინამოელებმა იმარჯვეს — 73:65. გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანები იყვნენ: მ. ქორქია და ბიჭიაშვილი (14-14 ქულა).

III ადგილი წილად ხვდათ უნივერსიტეტის კალათბურთელებს, რომლებმაც ბოლო დღეს პედინსტიტუტის გუნდი დაამარცხეს — 63:59 (34:33). მომდევნო ადგილები დაიკავეს აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისისა და წყალტუბოს კოლექტივებმა.



მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ლ. ტურიშჩევა.

ნ. თათარიშვილის ფოტო.

# ყველას აჯობეს

ამას წინათ კიშინიოვში გაიმართა საკავშირო პროფკავშირის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალური სკოლების გუნდების პირველობა ცურვაში. კარგად იასპარეზეს „განთიადის" სპორტსმენებმა, რომლებმაც საერთო გუნდური I ადგილი დაისაკუთრეს.

პირად შეჯიბრებაში განთიადელებიდან ყველაზე კარგად გამოვიდნენ 14 წლის ბათუმელი ი. ომელჩენკო და 16 წლის თბილისელი ა. რეზნიკოვი.

ომელჩენკომ სამი პირველი ადგილი დაისაკუთრა. იგი უძლიერესი იყო 100 და 200 მეტრზე გულალმა ცურვაში, აგრეთვე, 4×100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში.

რეზნიკოვმა მოიგო 100 მეტრზე ბატერფლაით შეჯიბრება და თანაგუნდელებთან ერთად — 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტა.

ვ. ხანუმიანი.

# დღეს იწყება

დღეს უკრაინის დედაქალაქ კიევში იწყება წყალში მხტომელთა საკავშირო ჩემპიონატი. ტრამპლინიდან და კოშკიდან წყალში ხტომაში ოქროს მედლებისთვის იბრძოლებს 60 უძლიერესი სპორტსმენი, თითოეულ სახეობაში — 15 საუკეთესო. ეს 15 უძლიერესი სპორტსმენი შეარჩია შეჯიბრებათა სერიამ, რომელიც წინ უძღოდა საკავშირო ჩემპიონატს. ესენი არიან გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე შეჯიბრებაში I-III, ხოლო სსრ კავშირის თასის გათამაშებაში I-VI ადგილებზე გასული სპორტსმენები, აგრეთვე, საკავშირო შეჯიბრებებში გამარჯვებულნი. სსრ კავშირის ჩემპიონატი გენერალური რეპეტიცია იქნება ევროპის ჩემპიონატის წინ, რომელიც 18-25 აგვისტოს ვენაში გაიმართება.

ცნობილ ათლეტთა გვერდით მაყურებლები იხილავენ ახალგაზრდა იმედისმომცემ სპორტსმენებსაც, რომლებმაც კარგად იასპარეზეს საკავშირო შეჯიბრებებში. ესენი არიან: 15 წლის სარატოველი ლ. გორინა, მინსკელი ა. კოსენკოვი, პენზელი ი. კალინინა, აგრეთვე, ტრავმების შემდეგ განკურნებული ერევნელი დ. ამბარცუმიანი.

კიევის ჩემპიონატის დღეებში აქტიური სპორტიდან საზეიმოდ გააცილებენ მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონს, მოსკოველ ვ. ვასინს, რომელიც ამიერიდან მწვრთნელად იმუშავებს.

ჩემი ფიქრისა და განსჯისა

# გიყვარდეს საქმე შენი

საზოგადოდ, ფეხბურთის მოყვარულებს დიდი გულშემატკივრების სახელი აქვთ დაგდებული. მხედველობაში გვაქვს მათი უსაზღვრო სიყვარული ფეხბურთისადმი, რაც არცთუ იშვიათად ფანატიზმშიც კი გადადის. მაგრამ უსამართლობა იქნებოდა სპორტის სხვა სახეობების თავგადადებულ მოტრფიალეთათვის, კერძოდ, ჩოგბურთის მოყვარულებისთვის, გულგრილობა დაგვებრალებინა. ესტუმრეთ ჩოგბურთის კორტებს ნებისმიერ დროს და უთუოდ დარწმუნდებით ჩვენი სიტყვების ჭეშმარიტებაში. ჩოგბურთზე ლაპარაკობენ დაუსრულებლად. რატომაც არა, ამ სახეობას ჰყავს თავისი პელე და მესხი, პავლოვსკი და ლასლო პაპი, ქორქია და კარტოზია... ბევრი, ძალზე ბევრი აქვთ სასაუბრო და მოსაგონარი ჩოგბურთის მოყვარულებს.

დღესდღეობით საბჭოთა კავშირის ეგრეთ წოდებულ საჩოგბურთო დედაქალაქად, ანუ ცენტრად თამამად შეიძლება ვაღიაროთ თბილისი. მეტრეველისა და კაკულიას დუეტმა ქართულ ჩოგბურთს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც გაუთქვა სახელი. საჩოგბურთო დედაქალაქით როცა ვამბობთ, ვგულისხმობთ საყოველთაოდ გავრცელებულ მოსაზრებას. საკავშირო მასშტაბით ამაში ვერავინ შემოგვედავება. მაგრამ „შინაურ ვითარებაში" ამ მართებულმა თუ უმართებულო აზრმა ჭეშმარიტების გზას არ უნდა აგვაცდინოს. ვინ არ იცის, რომ ქართული ჩოგბურთის ორ რაინდსა და დანარჩენ ჩოგბურთელებს შორის თვალშეუდგამი სივრცეა, რომ ისინი, ჩვენი ლიდერები, თითქოს აღარც არიან ქართული ჩოგბურთის ტიპიური წარმომადგენლები. ერთი სიტყვით, ისინი და ქართული ჩოგბურთი ცალ-ცალკე, ერთმანეთთან ლოგიკური კავშირ-ურთიერთობის გარეშე ვითარდებიან.

**რამ წარმოშვა ესოდენ მძაფრი კონტრასტი, რატომ შენელდა ან, უფრო სწორად, შეჩერდა ჩვენი ჩოგბურთის განვითარება?**

აი, ამ კითხვაზე ვთხოვეთ პასუხის გაცემა რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს მარლენ ქობალიას და ქართული ჩოგბურთის ვეტერანს ლეონიდ მძინარიშვილს. ერთიც და მეორეც აგერ უკვე მეოთხედი საუკუნეა სისხლხორცეულადაა დაკავშირებული ქართულ ჩოგბურთთან, ორთ ვეს თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის მის განვითარებაში, ორივეს გული სტკივა ჩვენი ჩოგბურთის დაქვეითება-ჩამორჩენის გამო. ვფიქრობთ, მათი მოსაზრებები უთუოდ საინტერესო იქნება არა მარტო ჩოგბურთის მოყვარულებისთვის, არამედ ფართო სპორტული საზოგადოებრიობისთვისაც.

**მ. ქობალია:** დავიწყებ იქიდან, რომ არასწორად მიმაჩნია მოსაზრება, როცა მეტრეველსა და კაკულიას აშორებენ ქართული ჩოგბურთისგან. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, არ შეიძლება ჩვენი ჩოგბურთის განვითარება, თუნდაც დღევანდელისა, მათს გარეშე განვიხილოთ. ბოლოს და ბოლოს, ერთიცა და მეორეც ჩვენი ჩოგბურთის წიაღში, მის ტრადიციებზე აღიზარდა და გამოვიდა ფართო სარბიელზე. არის თუ არა ამ ნიჭიერი ოსტატების დაბადება განპირობებული ქართული ჩოგბურთის გარკვეული ეტაპით? აი, როგორ უნდა დაისვას კითხვა, დიახაც, არის. მეტრეველის, ხოლო მოგვიანებით კაკულიას გამოჩენა განაპირობა ქართული ჩოგბურთის საინტერესო პერიოდმა. ეს ის დროა, როცა ჩოგბურთის კორტები იმდროინდელი მოთხოვნების კვალობაზე საკმარისი იყო, ხოლო მწვრთნელები გულხელდაკრეფილნი როდი ისხდნენ. მწვრთნელებსა და მათს აღსაზრდელებს იმ კეთილმოსაგონარ პერიოდში ჰქონდათ მხოლოდ ერთი ნაკლი: ზომაზე მეტად უყვარდათ ჩოგბურთი. ეს კალამბური გახლავთ, მაგრამ სიმართლე ის არის, რომ უგულოდ ჩოგბურთში რაიმე სერიოზულ წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტია. დიახ, სათანადო უნდა მივუზღოთ შესანიშნავ მწვრთნელებს ხანგულიანსა და ვერმიშევას, რომლებმაც მოძებნეს და აღზარდეს თვალსაჩინო ქართველ ჩოგბურთელთა მთელი პლეადა.

ამიტომ, როცა ჩოგბურთის განვითარებაზე ვლაპარაკობთ, აქ ზოგადი მსჯელობა სამართლიანი როდია. ამ განვითარებას ცალკე პერიოდები აქვს და ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ, ვთქვათ, მეტრეველისა და კაკულიას გამოჩენის ხანა დღევანდელ ვითარებასთან.

რა მდგომარეობა იყო, მაგალითად, ჩვენს ჩოგბურთში ორმოცდაათიან წლებში? საჩოგბურთო ცხოვრება, რომ იტყვიან, დუღდა და გადმოდიოდა. თავდადებული მწვრთნელებიც და, აქედან გამომდინარე, მათი არანაკლებ შრომისმოყვარე და მუყაითი მოწაფეები, მრავალრიცხოვანი ტურნირები, დიდი ენთუზიაზმი, ურომლისოდაც საზოგადოდ სპორტი და, კერძოდ, ჩოგბურთი წარმოუდგენელია.

წინ ვახსენეთ, რომ იმ პერიოდში საჩოგბურთო კორტები სამყოფი იყო. ნიჭიერი ახალგაზრდობა საწვრთნელ-სავარჯიშო და გინდაც სათამაშო მოედნების ისეთ მძაფრ ნაკლებობას როდი განიცდიდა, როგორსაც დღეს. ეს ბუნებრივიც გახლავთ. რა შედარებაა ახლანდელ და იმდროინდელ ვითარებას შორის მასობრიობის თვალსაზრისით. ცხადია, ჩოგბურთის მოყვარულთა და მიმდევართა რიცხვმა საგრძნობლად იმატა. მაგრამ თუ ძველად არსებული მოედნები ასე თუ ისე შეეფარდებოდა ჩოგბურთელთა რიცხვს, დღესდღეობით ისინი თითქმის ვერ აუდიან არათუ ჩოგბურთელთა მრავალრიცხოვან რაზმს, არამედ იმედისმომცემ მოზარდ თაობასაც კი. კურიოზია, მაგრამ ფაქტია, რომ უკანასკნელ ოცწლეულში ჩოგბურთის მოედნების რიცხვმა არათუ არ იმატა, არამედ შემცირდა კიდეც. რაც არის, იმასაც რიგიანად ვერ ვიყენებთ. ჩოგბურთელთა და მწვრთნელთა რიცხობრივმა ზრდამ, როგორი საკვირველიც უნდა იყოს, ახალი გადაუჭრელი პრობლემები წარმოშვა. სად უნდა ავარჯიშონ მრავალრიცხოვანი სექციებისა და ჯგუფების მწვრთნელებმა თავიანთი აღსაზრდელები? ორმოცდაათიან წლებში და სამოციანი წლების დასაწყისში წამოჩიტულმა ჩოგბურთელებმა, რომლებსაც დღეს რესპუბლიკის მოწინავე სპორტსმენებად მივიჩნევთ, მეტი ყურადღება მოითხოვეს. ვერავინ ეტყვის მათ, ამა და ამ საათს ვარჯიშს თავი დაანებე და მოედანი მოზარდ ჩოგბურთელს დაუთმეო. და რადგანაც ჩვენი ჩოგბურთის მოედნების რიცხვი კატასტროფულად მცირეა, ისინი თანაბრად ვერ ემსახურებიან გამოცდილ ჩოგბურთელებსაც და მოზარდ თაობასაც. იქმნება მოჯადოებული წრე, როცა ვერც მოწინავე ჩოგბურთელის ზრდა-განვითარებას ვაღწევთ და აღარც ნორჩი თაობის დაწინაურების ძალა შეგვწევს. არც ის არის მართალი, თითქოს მწვრთნელები არ მუშაობდნენ მთელი დატვირთვით. მაგრამ მათს წინაშე მდგარ გადაუჭრელ საორგანიზაციო პრობლემებს კიდევ ერთი, თუ შეიძლება ასე ითქვას, კარდინალური საკითხი ემატება. არ ვიცი, როგორ უნდა განვითარდეს სრულფასოვნად ჩვენი ჩოგბურთი, ანდა მოზარდი თაობის რა დაოსტატებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა არ არსებობს ზამთრის საჩოგბურთო ბაზა. ეს პრობლემა ბევრ ქვესაკითხს წარმოშობს, რომელთაგან თქვენს ყურადღებას ძირითადად საკვანძო მომენტზე გავამახვილებთ. აი, არ არის ზამთრის ბაზა და ჩვენი ჩოგბურთელები ოთხი თვის განმავლობაში მოკლებული არიან ვარჯიშის საშუალებას. უკეთეს შემთხვევაში ზამთრის პერიოდში შესაძლებელია იზრუნონ მარტოოდენ ჩოგბურთელთა ფიზიკურ მომზადებაზე, ნამდვილი ჩოგბურთი კი მკაცრი ზამთრის პირობებში წარმოუდგენელია.

სპორტული ბაზების პრობლემა... ძალიან აწუხებს ჩვენს ჩოგბურთს ეს საკითხი. ჩოგბურთი იქცა მეტისმეტად „შეზღუდულ" სახეობად. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ჩოგბურთი გამოკეტილია დედაქალაქის ორიოდე რაიონში, თბილისის ახალ უბნებში კი მასზე საერთოდ წარმოდგენა არა აქვთ. რა დააშავეს, მაგალითად, თემქელმა, საბურთალოელმა, დიღმელმა ბავშვებმა, დედაქალაქის სხვა რაიონებზე რომ არაფერი ვთქვათ? რატომ არ უნდა მოიცვას ჩოგბურთმა, სპორტის ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა სახეობამ, მთელი თბილისი და მასთან ერთად საქართველოს სხვა ქალაქები? თუ კრიტიკულად, თანამედროვე მოთხოვნების დონეზე არ გადავხედეთ ჩოგბურთის მდგომარეობას ჩვენს რესპუბლიკაში და კერძოდ თბილისში, სპორტის ეს სახეობა სულ უფრო დაქვეითდება. ნულარ მოელით მაშინ ახალ მეტრეველსა და კაკულიას, რომლებიც იშვნენ სულ სხვა პერიოდში, სხვა ვითარებაში.

**ლ. მძინარიშვილი:** ორმოცდაათიანი წლების ჩოგბურთი ჩვენში ნამდვილი დღესასწაული იყო. კონსერვატორობას ნუ დამწამებთ, ამაში, ვფიქრობ, ყველა მწვრთნელი და სპორტსმენი დამეთანხმება. შესანიშნავმა მწვრთნელებმა ა. ხანგულიანმა და ვერმიშევამ, სერებრიანიკოვმა და კლდიაშვილმა „დინამოს" და მარჯანიშვილის მოედანთან მდებარე კორტებზე ორი დიდი საჩოგბურთო ცენტრი შექმნეს. ჩვენ გვიხაროდა თაკაში და ვარჯიში. საჩოგბურთო მოედნები ჩვენი პლეადის სპორტსმენებისთვის ნამდვილ მეორე ოჯახად იქცა. ჩვენ, ჩოგბურთელები, ერთმანეთის და-ძმანი ვიყავით, ერთად ვიზიარებდით გამარჯვებასაც და დამარცხებასაც. ასე გასინჯეთ, საღამოებსა და ბალებსაც კი ვაწყობდით. ვვარჯიშობდით თავგამოდებით, დაუზარებლად, დიდი სიყვარულით ჩვენს ყოველ ნაბიჯს ტაქტიანად აკონტროლებდნენ მზრუნველი და მცოდნე მწვრთნელები. ამიტომ სულაც არ მიკვირს, რომ სწორედ იმ პერიოდში ჩაეყარა მტკიცე საძირკველი ქართული ჩოგბურთის წინსვლას საკავშირო სარბიელზე. ქართველი ჰაბუკები და ქალიშვილები ხშირად იმარჯვებდნენ დიდ ტურნირებში, რითაც, ქმნიდნენ ჩვენი საჩოგბურთო სკოლის ტრადიციებს. დღეს იმ ტრადიციებიდან ცოტაღა დარჩა. ქართული ჩოგბურთი საგრძნობლად ჩამორჩა საკავშირო დონეს. ამან არ შეიძლება არ შეგვაშფოთოს ჩვენ, ჩოგბურთის ვეტერანები, ისინი, ვისაც შეძლებისდაგვარად წვლილი შეჰქონდა ქართული საჩოგბურთო სკოლის მდიდარი ტრადიციების შექმნაში.

დღევანდელი საჩოგბურთო ცხოვრება ძალზე მომაგონებს მდორე მდინარეს, რომელიც ინერციით განაგრძობს დინებას. ბედნიერებაა, როცა გყავს მეტრეველი და კაკულია, მაგრამ სამწუხაროა, როცა მათს მაგალითზე წლების მანძილზე ვერ ზრდი ნიჭიერ ჩოგბურთელებს. ამ სპორტსმენებით კი არ უნდა ამაყობდნენ მარტო, არამედ ჰბაძავდნენ მათ და მხარს უსწორებდნენ. სხვათა შორის, თითქოს პირიქით გამოდის: ჩვენი ჩოგბურთის ლიდერების ოსტატობითა და გამოცდილებით სხვა რესპუბლიკების სპორტსმენები და მწვრთნელები უფრო სარგებლობენ.

ჩოგბურთი ისე აღარ უყვართ, როგორც ძველად, ეს უეჭველია. რამ გაანელა ახალ თაობაში სპორტის ამ სახეობისადმი სწრაფვა, თუ გნებავთ, ამ სახეობით აღტყინება? მითხარი, ვინ არის შენი აღმზრდელი, ანუ მწვრთნელი და... ძალზე დაბალია ჩვენი მწვრთნელების კვალიფიკაცია. ისინი, უბრალოდ, ჩამორჩნენ თანამედროვე ჩოგბურთს. ამას კიდევ შეეგუებოდა კაცი, მათს მუშაობაში საქმის სიყვარული რომ იგრძნობოდეს. სამწუხაროდ, ასე არ არის და ეს დამღუპველ გავლენას ახდენს ჩოგბურთის წინსვლაზე. პედაგოგიური მარაზმი? დიახ, შეიძლება ასე ვუწოდოთ ბევრი ჩვენი მწვრთნელის დამოკიდებულებას მათი მოწაფეებისადმი. მათ, უბრალოდ, ვერ შეაყვარეს ბავშვებს ჩოგბურთი და, თუ შენი საქმე არ გიყვარს, ყველაფერს წერტილი შეიძლება დაესვას.

ჩემი ღრმა რწმენით, თუმცა სპორტული ბაზებით განებივრებული არა ვართ, მეტი რომ არა ვთქვათ, ამ პირობებშიც შეიძლება ნაყოფიერი მუშაობის გაშლა ახალ-ახალი ტალანტების აღმოსაჩენად. მაგრამ ვინ უნდა აღზარდოს ისინი? მწვრთნელთა უნიათობაზე უკვე მოგახსენეთ, ჩოგბურთელები კი თანამედროვე ეტაპზე თავისით არ იბადებიან, მათ პოვნა და მზრუნველი ხელი სჭირდებათ.

რაკი სიტყვა ახალ ტალანტებზე ჩამოვარდა, მინდა დავასახელო 15 წლის ჩოგბურთელი გია ელერდაშვილი. მას ბევრი მონაცემი აქვს, რომ მომავალში კარგი ოსტატი გახდეს. უწყობენ თუ არა ხელს მის შემდგომ ზრდა-დაოსტატებას? რესპუბლიკის ახლახან დამთავრებულ ჩემპიონატში გია ყველაზე საინტერესო ჩოგბურთელად წარმოგვიდგა. დარწმუნებული ვარ, იგი წარმატებით იბრძოლებდა რესპუბლიკის ჩემპიონის სახელისთვისაც, ნორჩი ჩოგბურთელისთვის მეტისმეტად მძიმე ტვირთი რომ არ წამოეკიდათ. ნაცვლად იმისა, რომ მხოლოდ პირად ტურნირში გამოეყვანათ, იგი წყვილთა შეჯიბრებაშიც ათამაშეს. ამდენი 15 წლის ბიჭს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო, მითუმეტეს, რომ ჩემპიონატის დამთავრების დღესვე გაემგზავრა იუნიორთა საკავშირო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. სხვათა შორის, გიამ ამ შეჯიბრებაში III ადგილი დაიკავა. მე არ ვიცი, როგორ გაგრძელდება ელერდაშვილის შემდგომი დაოსტატება. საწყენი იქნება, თუ მისგან ქართული ჩოგბურთის ნამდვილი ოსტატი არ დადგა. სამწუხაროდ, ასეთი მაგალითი საკმარისზე მეტი გვაქვს.

ჩვენი ჩოგბურთი სავალალო მდგომარეობაშია. განა ამას არ ადასტურებს რესპუბლიკური ჩემპიონატები და ტურნირები, რომლებიც ძალზე უფერულად ტარდება? ეს შეჯიბრებები იმართება მხოლოდ იმიტომ, რომ, უბრალოდ, მათი ჩაუტარებლობა არ შეიძლება. განა ასეთ შეჯიბრებას სარგებლობის მოტანა შეუძლია? უფრო პირიქით, რადგან იგი ინტერესს უნელებს სპორტის ამ სახეობის მოყვარულებს.

კიდევ ბევრ საკითხზე შეიძლებოდა ყურადღების გამახვილება, მაგრამ ვფიქრობთ, რაც ვთქვით, ისიც საკმარისია. ყველაზე საკვირველი ის არის, რომ ამ სურათს გულგრილად შეჰყურებს რესპუბლიკის ჩოგბურთის ფედერაცია, პირდაპირ უნდა ვთქვა: იგი ან ძალზე ცოტას აკეთებს ჩოგბურთისთვის, ანდა სრულიად არაფერს. საიდან მოდის ეს გულგრილობა? ვისა აქვს უფლება ხელი ჩაიქნიოს ჩოგბურთზე? რატომ უნდა ვხედავდეთ პერსპექტივაში ჩვენს ჩოგბურთს საკავშირო ტურნირების აუტსაიდერთა რიგებში? აი, ეს და სხვა კითხვები მაღელვებს არა მარტო მე, არამედ ჩოგბურთის ჭეშმარიტ მოყვარულებსაც.

საუბარი ჩაიწერა
**ა. გოგელიამ.**

P. S. რა შეიძლება დავუმატოთ მ. ქობალიას და ლ. მძინარიშვილის ნათქვამს? იქნებ ზოგიერთ საკითხში მათი აზრი ერთმანეთისას არ ემთხვევა, მაგრამ ეს სხვაობა მხოლოდ ცალკეულ დეტალებს შეეხება. ორივე სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს ჩვენი ჩოგბურთის დაქვეითების გამო. როგორ შევაბრუნოთ საბედისწერო ჩარხი, რომელსაც ჩვენი ჩოგბურთი სულ უკან და უკან მიჰყავს? ვფიქრობთ, ამ საკითხზე ახლა მაინც სერიოზულად იმსჯელებენ, სადაც ჯერ არს.

• • •

სურათზე: საქართველოს 1974 წლის ჩემპიონი ა. ივანოვა.



ახალი წიგნები

## საჭირო სახელმძღვანელოები

მოსწავლეთა სწორ ფიზიკურ აღზრდა-განვითარებას საძირკველი დაწყებითს სკოლაში უნდა ჩაეყაროს, მაგრამ ამ ასაკის ბავშვთა ფიზაღზრდის მასწავლებლისთვის სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელო არ არსებობს და ეს საპასუხისმგებლო საქმე ხშირად არასპეციალისტებს აქვთ მინდობილი. ამიტომ გასაგებია, რაოდენ დიდი პრაქტიკული ღირებულება აქვს გამომცემლობა „განათლების" მიერ მიმდინარე სასწავლო წელს გამოქვეყნებულ ორ წიგნს: „პირველკლასელთა ფიზიკური აღზრდა" და „მეორეკლასელთა ფიზიკური აღზრდა". ამ წიგნების ავტორები არიან დ. ქვანია, ა. ორახელაშვილი და გ. გოგნიაშვილი (სპეციალური რედაქტორი გ. მერკვილაძე, გამომცემლობის რედაქტორი თ. დაუშვილი).

ამ წიგნების ძირითადი მიზანია ფიზიკური აღზრდის საპროგრამო მასალის ცალკეულ გაკვეთილებად ჩამოყალიბება. ეს ამოცანა ავტორებს წარმატებით აქვთ გადაჭრილი. გაკვეთილებში საპროგრამო მასალასთან ერთად გამოყენებულია ქართული ხალხური თამაშობები, იმიტაციური ტიპის ვარჯიშთა კომპლექსები, სპეციალური ვარჯიშები ტანადობის სრულყოფისთვის, სამწყობრო და წყობითი ვარჯიშები და სხვ. ავტორებმა ფიზიკური აღზრდის სასკოლო პროგრამა გაამდიდრეს ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი სხვადასხვა საშუალებით. ამასთან ცალკე განაყოფებადაა მოცემული სასწავლო პროცესისთვის მთელი რიგი აუცილებელი საკითხები.

ეს სახელმძღვანელოები დიდ დახმარებას გაუწევენ დაწყებითი სკოლების ფიზაღზრდის მასწავლებლებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „პირველკლასელთა ფიზიკური აღზრდა" დაზღვეული არ აღმოჩნდა ზოგიერთი შეცდომისა და უზუსტობისგან (მაგალითად, ტერმინებში, ილუსტრაციებში). მაგრამ ეს ჩრდილს ვერ აყენებს წიგნის ღირსებას.

მართალია, წიგნების თავფურცლებზე ვკითხულობთ — „დაწყებითი კლასების მასწავლებელთათვის", მაგრამ ისინი საჭირო და გამოსადეგია მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვისაც. ამიტომ ტირაჟი — 4.000 ცალი, მეტად მცირეა. იგი მასწავლებლებისთვისაც ძლივს იკმარებს.

გვინდა ავტორთა კოლექტივს მადლობა ვუთხრათ ამ საუკეთესო საჩუქრისთვის და გამოვთქვათ სურვილი, რომ მსგავსი სახელმძღვანელოები უფრო მაღალი კლასებისთვისაც შეიქმნას.

**მ. ნინოშვილი,**
**თბილისის 144-ე საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXXVI ჩემპიონატი

## ფეხბურთის ქრონიკა

9 ივლისს გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები.

„დინამო" (კიევი) — „ზენიტი" — 5:0. გათამაშების ლიდერთა შეხვედრა საყოველთაო ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა. გარდა იმისა, რომ გამარჯვებული ერთპიროვნული ლიდერი ხდებოდა, ინტერესს მატჩისადმი ისიც ზრდიდა, რომ ლენინგრადელებს წლევანდელ გათამაშებაში ჯერ არ ჰქონდათ განცდილი მარცხი. კიეველებმა ამ დღეს მეტოქეს არ დაუტოვეს ხსნის არავითარი შანსი. ლენინგრადელებმა ყველა რგოლში დაუთმეს კიეველებს მინდორზე და არსებითად მხოლოდ პასიური წინააღმდეგობით შემოიფარგლნენ. ანგარიში 22-ე წუთზე გახსნა ტროშკინმა, ხოლო შემდეგ ბლოხინმა ზედიზედ ორჯერ აიღო „ზენიტის" კარი. შესვენების შემდეგ იმავე ბლოხინმა კიდევ ორჯერ დააწყებინა ცენტრიდან თამაში სტუმრებს. კიევის „დინამო" ამ ტურიდან ერთპიროვნულად უდგას სათავეში სატურნირო ცხრილს. აღსანიშნავია, რომ მატჩის მსვლელობაში გაფრთხილებები მიიღეს ბლოხინმა და ლენინგრადელმა ტრემბაჩმა.

„დინამო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" 1:1. დინამოელმა პავლენკომ უკვე მე-2 წუთზე გახსნა ანგარიში. სპარტაკელებმა მარცხს ძლიერი იერიშებით უპასუხეს, „დინამოს" მეკარე პილგუის სრული დატვირთვით მოუხდა თამაში. ტაიმის დასასრულს პილგუიმ უხეში შეცდომა დაუშვა და საშუალება მისცა ანდრეევს გაექვითა გოლი. შესვენების შემდეგ საერთო სიმწვავემ, მატჩის სანახაობრივმა მხარემ საგრძნობლად მოიკლო და აღარც ანგარიში შეცვლილა.

„ნისტრუ" — „შახტიორი" 2:2. სტუმართა მხრივ ბურთები გაიტანეს სტარუხინმა და იარემჩენკომ, ხოლო მასპინძელთაგან — პიუნოვსკიმ და ხიმონენკომ.

„ფახთაქორი" — ცსკა 4:1. უზბეკეთის დედაქალაქში თერმომეტრი ამ დღეს აჩვენებდა 40 გრადუსს ჩრდილში. თამაში ძალზე ჭირდა და მიუხედავად ამისა არმიელთა დიდი ანგარიშით დამარცხებას გამართლება არა აქვს. „ფახთაქორმა" ჯერ კიდევ შესვენებამდე 4 ბურთი გაიტანა ცსკა-ს კარში. ხაძიპანაგისი, ფიოდოროვი, ვარიუხინი, ანი (პენალტი). ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორი იყო კოზლოვსკი.

„ქაირათი" — „ტორპედო" 1:1. ალმაათელი ჩებოტარიოვის მიერ პირველივე წუთზე გატანილი გოლი მხოლოდ შესვენების შემდეგ გაქვითა დეგტიარიოვმა.

„ჩერნომორეცი" (ოდესა) — „ზარია" (ვოროშილოვგრადი) 2:1. ოდესელები მატჩს აგებდნენ (ბურთი 43-ე წუთზე გაიტანა ელისეევმა), მაგრამ შესვენების შემდეგ საპასუხო გოლი გაიტანა მაკაროვმა, ხოლო 81-ე წუთზე „ზარიას" კარში დანიშნული პენალტი ზუსტად გამოიყენა იმავე მაკაროვმა. ვოროშილოვგრადელებს შეეძლოთ მატჩის ხსნა, მაგრამ აბრამოვის მიერ დარტყმული 11-მეტრიანი აცდა მიზანს. მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია „ზარიას" მოთამაშე ვ. კუზნეცოვი.

„არარატი" — „კარპატი" 1:1. „კარპატი" ორგანიზებულად, კარგი ურთიერთმოქმედებით იცავდა თავს, ერევნელები კი გადამწყვეტ მომენტებში ჩქარობდნენ და უზუსტოდ ურტყამდნენ კარში. შეხვედრის მეორე ნახევარში „კარპატის" ერთ-ერთი კონტრიერიში გოლით დაამთავრა ვასილიევმა და მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდა „არარატი" გადამწყვეტ შტურმზე. მატჩის დასასრულს პეტროსიანის ზუსტმა დარტყმამ მასპინძლები იხსნა დამარცხებისგან.

# დაკარგული ქულა

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 9 ივლისი.

„დინამო" (თბილისი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 0:0.

„დინამო": გოგოშიძე, გავაშელი, ხელიძე, კანთელაძე, ებრალიძე (ქანთარია), მჭედლიშვილი (ლ. ნოდია), გ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, მ. მაჩაიძე, წერეთელი.

„დნეპრი": კოლტუნი, კოვბა, ნაიდა, ბოგდანოვი, პილიპჩუკი, სოლოვიოვი, შნეიდერმანი, ევსეენკო, გრინკო, პორკუიანი, სლობოდიანი.

მსაჯი ვ. ლუშინი (მოსკოვი).

დუბლიორები: 2:1 (1:1). გოლები გაიტანეს მჭედლიშვილმა და ლ. ნოდიამ, სტუმართაგან — პოლევეშნიკოვმა.



ამ ტურში გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდათ მეტოქეებს. წარმატების შემთხვევაში თბილისელები ხუთიოდე საფეხურით ინაცვლებდნენ წინ გათამაშების ცხრილში. ასევე მნიშვნელოვნად იუმჯობესებდნენ სატურნირო მდგომარეობას „დნეპრის" ფეხბურთელებიც. მაგრამ საინტერესო ბრძოლის ნაცვლად სტადიონზე შეკრებილი მცირერიცხოვანი მაყურებელი (დაახლოებით 15.000 კაცი) უინტერესო, უღიმღამო თამაშის მოწმე გახდა. ამის დასამოწმებლად ისიც კმარა, რომ პირველი სახიფათო მომენტი სტუმრების კართან „დინამომ" მხოლოდ 30-ე წუთზე შექმნა, 5 წუთის შემდეგ კი მ. მაჩაიძის თავური დარტყმა მეკარე კოლტუნმა კუთხურზე მოიგერია. „დნეპრის" ფეხბურთელები 31-ე წუთზე ახლოს იყვნენ წარმატებასთან, მაგრამ თბილისელთა კართან მარტოდმარტო მდგარი ევსეენკოს მიერ თავურით დარტყმული ბურთი მიზანს ასცდა. ეს იყო და ეს. დანარჩენი დროის მანძილზე თამაში უმთავრესად მინდვრის ცენტრში მიმდინარეობდა საკმაოდ დუნედ. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს მეტოქეები ერთმანეთს საგაზაფხულო საკონტროლო მატჩში ხვდებოდნენ, როცა ფეხბურთელებს დახურული სპორტული ბაზა ახალი დატოვებული აქვთ, პირველად გამოდიან მინდორზე და თამაშში დაშვებული მრავალი წუნიც ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩენილ დროში შეიძლება გამოსწორდეს. მაგრამ ეს ხომ თითქმის შუა სეზონის მატჩი იყო. ახლა ამდენი შეცდომა მეტოქეებს არ ეპატიებათ, განსაკუთრებით დინამოელებს, რომლებიც შინ თამაშობდნენ.

შესვენების შემდეგ ბრძოლის სურათი არ შეცვლილა. ოღონდ ის იყო, რომ მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე, იგრძნეს რა ქულის დაკარგვის საშიშროება, დინამოელები გადამწყვეტ შტურმზე გადავიდნენ, მაგრამ მათი იერიშები უფრო ქაოსურ ხასიათს ატარებდა და მოკლებული იყო კონკრეტულ მიზანსწრაფულობას. საქმეს ვერც მოთამაშეთა შეცვლამ უშველა.

თბილისის „დინამომ" დასანანი ქულა დაკარგა. ეს არ მოხდებოდა, გუნდს თავიდანვე შეტევაზე რომ ეფიქრა, ინდივიდუალური გარღვევებით კი არა, კოლექტიური მოქმედებით განეხორციელებინა ჩანაფიქრი. ფრე „დნეპრს" ყოველმხრივ უფრო აძლევდა ხელს და მან საწადელს მიაღწია.

თბილისის „დინამო" ამჟამად მძიმე მდგომარეობაშია, ვინაიდან ტრავმის მიზეზით გუნდს ერთბაშად გამოაკლდა დაცვის ოთხი ძირითადი მოთამაშე. გავაშელის მცველის როლში გამოყვანა სწორედ ამ გარემოებით იყო ნაკარნახევი.

ახლა თბილისელებს ელით ძნელი ტურნე მეტოქეთა მინდვრებზე. ამიტომ საჭირო იქნება გუნდმა ყველაფერი იღონოს, რათა სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესოს. ჩვენს „დინამოს" ამის ძალა შესწევს.

ნ. კაპკასიძე.

• • •

სურათზე: შეხვედრის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## უმაღლესი ლიგა

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 13 | 7 | 5 | 1 | 20—7 | 19 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 13 | 5 | 7 | 1 | 14—13 | 17 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 13 | 4 | 7 | 2 | 15—11 | 15 |
| „ქაირათი" (ალმა-ათა) | 13 | 4 | 6 | 3 | 23—19 | 14 |
| „არარატი" (ერევანი) | 13 | 5 | 4 | 4 | 15—12 | 14 |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 13 | 4 | 6 | 3 | 12—10 | 14 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 13 | 4 | 6 | 3 | 17—18 | 14 |
| „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 13 | 4 | 5 | 4 | 19—17 | 13 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 12 | 3 | 6 | 3 | 8—9 | 12 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 13 | 3 | 6 | 4 | 12—14 | 12 |
| „დინამო" (თბილისი) | 12 | 3 | 6 | 3 | 9—14 | 12 |
| „კარპატი" (ლვოვი) | 13 | 2 | 7 | 4 | 10—12 | 11 |
| ცსკა | 13 | 3 | 5 | 5 | 18—21 | 11 |
| „ნისტრუ" (კიშინიოვი) | 13 | 3 | 4 | 6 | 17—21 | 10 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 13 | 2 | 6 | 5 | 6—12 | 10 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 13 | 2 | 4 | 7 | 15—20 | 8 |

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

### პირველი ჯგუფი

● „განთიადი" (თბილისი) — „ივერია" (ხაშური) 2:1. მსაჯი ა. მჭედლიძე (თბილისი).

ხაშურელებმა უკვე მე-13 წუთზე მიაღწიეს წარმატებას (გუნცაძე), სულ მცირე ხანში კი კირაკოსიანმა გაათანაბრა ანგარიში — 1:1. მასპინძლებს გამარჯვება მოუტანა სოშხიშვილის მიერ მეორე ტაიმში გატანილმა გადამწყვეტმა ბურთმა.

● „მაღაროელი" (ჭიათურა) — „ეგრისი" (ცხაკაია) 2:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

თამაში მიმდინარეობდა საინტერესოდ, დაძაბულ ბრძოლაში და სახიფათო მომენტები ხშირად იქმნებოდა როგორც ერთ, ისე მეორე კართან. პირველი მათგანის რეალიზება ტაიმის ბოლო წუთზე შეძლო შელიამ, ხოლო შესვენების შემდეგ მესხაძის მეორე გოლმა განამტკიცა „მაღაროელის" წარმატება.

● „დინამო" (სოხუმი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) — 2:1. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

დინამოელებმა სრული მონდომებით ჩაატარეს მატჩი და მიმდინარე გათამაშებაში პირველი დამარცხება მიაყენეს გეგეჭკორის გუნდს.

● „სულორი" (ვანი) — „კოლხეთი" (ხობი) 1:1. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).

გაფრთხილება მიეცათ ხობელ ა. ჯოჯუას და ვანელ თ. სულაბერიძეს. აღსანიშნავია, რომ სულაბერიძემ მეორე გაფრთხილება მიიღო წლევანდელ სეზონში.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ვარძია" (ახპინძა) 4:0 მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

უკვე შესვენებისთვის კოპალეიშვილმა, სართანიამ და გუჯაბერიძემ 3 „მშრალი" ბურთი გაიტანეს „ვარძიის" კარში, ხოლო მეორე ტაიმში ციკოლიას დარტყმის შემდეგ ანგარიში ავიდა 4:0-მდე.

ხულიგნური საქციელისთვის მინდვრიდან გაძევებულ იქნენ ასპინძელი პ. ფოცხვერაშვილი და თბილისელი გ. კოპალეიშვილი.

● „ამირანი" (ოჩამჩირე) — „ქართლი" (გორის რაიონი) 0:0. მსაჯი ჯ. ჯიშიაშვილი (ტყიბული).

საუკეთესოდ ითამაშა გორელთა მეკარე გურაშვილმა, რომელმაც არად აქცია ოჩამჩირელ ფეხბურთელთა დიდი ტერიტორიული უპირატესობა.

უხეში თამაშისთვის წლეულს უკვე მეორე გაფრთხილება მიიღო ოჩამჩირელმა ვ. ასტვაცატურიანმა.

● ასკ (თბილისი) — „კახეთი" (თელავი) 3:1. მსაჯი ე. ძნელაძე (თბილისი).

არმიელთა მხრივ გატანილ 3 ბურთს (პოლტაჩიდი, ტროშინი, დვალიშვილი) თელაველებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს (ცირეკიძე).

მსაჯთან შეკამათებისთვის გაფრთხილებულია „კახეთის" მეკარე ქ. რეხვიაშვილი.

● „შუქურა" (ქობულეთი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 4:0. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

მატჩის ანგარიში სავსებით შეესატყვისება იმ დიდ უპირატესობას, რომელიც ქობულეთელებს ჰქონდათ თამაშის მსვლელობაში. 2 ბურთი გაიტანა მცველმა დიკიმ, თითო — გორგილაძემ და კვიტაიშვილმა.

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „მეშახტე" (ტყიბული) 4:2. მსაჯი ა. დურსუნიში (სოხუმი).

22-ე წუთისთვის ზესტაფონელ გნინიანოვს 2 ბურთი ჰქონდა გატანილი „მეშახტეს" კარში. შემდეგ სტუმრებმა მკვეთრად გააძლიერეს თამაში და აუშტროვისა და ლოლომაძის ზუსტი დარტყმებით აღადგინეს თანაფარდობა — 2:2. მეორე ტაიმში ტყიბულელმა ტ. გამყრელიძემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს, რისთვისაც გაძევებულ იქნა მინდვრიდან. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ გამყრელიძე წლეულს ერთხელ უკვე იყო გაძევებული მინდვრიდან, ცხადი გახდება, რომ ამ ფეხბურთელის მიმართ მიღებულ უნდა იქნას უკიდურესად მკაცრი ზომები. 10 მოთამაშის შემადგენლობით დარჩენილმა „მეშახტემ" ვერ გაუძლო მეტოქის იერიშებს და კიდევ 2 ბურთი გაუშვა გლინიანოვისა და ტოგონიძისგან.

გვერდით მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილება მიეცა ტყიბულელ შ. კვინიკაძეს.

### მეორე ჯგუფი

#### I ზონა

„განახლება" (ადიგენი) — „კოლმეურნე" (ბორჯომი) 1:2, „სამცხე" (აწყური) — „ყინწვისი" (ქარელი) 1:1, „განთიადი" (კასპი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 2:0, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „მადნეული" (ბოლნისი) 5:0.

#### II ზონა

„განთიადი" (აბაშა) — ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) 2:5, „გიგანტი" (ლაითური) — „სქური" (წალენჯიხა) 1:0, „კოლმეურნე" (წულუკიძე) — „იმერეთი" (თერჯოლა) 3:2, „ჩიხურა" (საჩხერე) — „მზიური" (გალი) 4:0, „კოლმეურნე" (გულრიფში) — „სამგურალი" (წყალტუბო) 2:0.

• • •

იწყება რესპუბლიკური ზონალური გათამაშება. მოგვყავს პირველი კალენდარული ტურის განრიგი: 13 ივლისი. „თრიალეთი" (წალკა) — „ფარვანა" (ბოგდანოვკა), „შალაური" (თელავი) — „პოლიტექნიკოსი" (საგარეჯო), „წინანდალი" (თელავი) — „იორი" (სართიჭალა), „იორი" (თიანეთი) — „ქიმიკოსი" (ახმეტა), „მშენებელი" (ჭიათურა) — „ლეჩხუმი" (ჩხოროწყუ); 14 ივლისი. „ხვანჭკარა" (ამბროლაური) — „ქიმიკოსი" (წულუკიძე), „სპარტაკი" (მარნეული) — „არაგვი" (მცხეთა), „მეშაქრე" (აგარა) — „გარასი" (თეთრი წყარო).

## გათამაშების ცხრილი

### I ჯგუფი

მდგომარეობა 11 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 16 | 11 | 4 | 1 | 32—10 | 26 |
| „მაღაროელი" | 17 | 10 | 4 | 3 | 26—8 | 24 |
| „სალხინო" | 17 | 7 | 9 | 1 | 25—13 | 23 |
| „დინამო" | 17 | 8 | 6 | 3 | 30—16 | 22 |
| ფიზკ. ინსტ. | 17 | 8 | 6 | 3 | 33—20 | 22 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 16 | 9 | 4 | 3 | 31—20 | 22 |
| „ლოკომოტ." | 16 | 8 | 6 | 2 | 29—18 | 22 |
| ასკ (თბ.) | 15 | 8 | 5 | 2 | 33—12 | 21 |
| „შუქურა" | 17 | 7 | 5 | 5 | 23—15 | 19 |
| „კახეთი" | 17 | 7 | 4 | 6 | 30—28 | 18 |
| „კოლხეთი" | 17 | 4 | 9 | 4 | 22—21 | 17 |
| „ამირანი" | 17 | 6 | 5 | 6 | 17—16 | 17 |
| „ქართლი" | 17 | 6 | 3 | 8 | 28—29 | 15 |
| „ეგრისი" | 17 | 4 | 5 | 8 | 15—24 | 13 |
| „განთიადი" | 17 | 3 | 6 | 8 | 21—27 | 12 |
| „მეშახტე" | 16 | 4 | 3 | 9 | 21—33 | 11 |
| „ვარძია" | 17 | 3 | 3 | 11 | 14—37 | 9 |
| „სულორი" | 17 | 3 | 3 | 11 | 14—49 | 9 |
| „სპარტაკი" | 17 | 2 | 4 | 11 | 15—33 | 8 |
| „ივერია" | 17 | 2 | 0 | 15 | 16—46 | 4 |

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, ფარიკაობისა და ველოსპორტის რესპუბლიკური ფედერაციები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სპორტის ოსტატი ფარიკაობაში, ველოსპორტის რესპუბლიკური ფედერაციის ყოფილი თავმჯდომარე

**ბორის ივანეს ძე ბონდარენკო**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04665